პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 250 (9410) | კვირა, 19 ოქტომბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი — მასებში!

XIX ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვში 5-14 ოქტომბერს, წარმოადგენს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას ჩვენი პარტიის ისტორიაში, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

ყრილობამ შეაჯამა იმ გრანდიოზული მუშაობის შედეგები, რომელიც ლენინ—სტალინის პარტიამ გასწია XVIII ყრილობის შემდეგ დღემდე განვლილ პერიოდში, და დასახა ახალი, უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი კომუნიზმის დიადი მშენებლობის ისტორიულ ამოცანათა ბრწყინვალედ გადასაჭრელად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში ნაჩვენებია, თუ როგორ რაზმავდა პარტია ჩვენი სამშობლოს შრომელთა მილიონიან მასებს კომუნიზმის აგების განხორციელების პრაქტიკულ სამუშაოთა შესასრულებლად; როგორ წარმართავდა იგი მასების შემოქმედებითს ინიციატივას დიდი სამამულო ომის წინ და ომისშემდგომ პერიოდში ამხანაგ სტალინის გენიალურ წინასწარდასახულობათა შესასრულებლად; როგორ მეთაურობდა და წინ მიუძღოდა თავის ხალხს სოციალიზმის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ წმიდათა-წმიდა სამამულო ომში და როგორ უზრუნველყო ამ უდიდეს ომში ჩვენი ქვეყნის გამარჯვება. საანგარიშო მოხსენება შეიცავს იმის ღრმა ანალიზს, თუ როგორ განამტკიცებდა პარტია თავის რიგებს, აუმჯობესებდა მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, აღწევდა წარმატებებს, უზრუნველყოფდა ჩვენი საზოგადოების განუხრელ წინსვლას.

„მოწონებულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა“, — ნათქვამია XIX ყრილობის მიერ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენების გამო ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში. რეზოლუციის ეს სიტყვები შესანიშნავად გამოხატავენ მთელი ჩვენი პარტიის აზრს, მთელი ჩვენი ხალხის აზრს, რომელიც უსაზღვროდ ერთგულია ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და რომელიც მუდამ მზად არის შეასრულოს თავისი ცენტრალური კომიტეტის, საყვარელი ბელადისა და მამის— დიდი სტალინის ყოველი დავალება.

პარტიის ყრილობამ დაამტკიცა სსრ კავშირის განვითარების ახალი, მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები, რომლებშიც დასახულია ზრდის ახალი უძლიერესი ტემპი, ჩვენი პარტიისა და ხალხის შეუფერხებელი წინსვლა კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ. ახალი სტალინური ხუთწლედი წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება იმ ისტორიული პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში, რომელიც მოგვცა ამხანაგმა სტალინმა 1946 წლის 9 თებერვალს წარმოთქმულ თავის ცნობილ სიტყვაში. კომუნიზმზე გადასვლისათვის საჭიროა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, პროდუქტებისა და ნედლეულის უდიდესი სიუხვის მიღწევა. ახალი ხუთწლედის ამოცანები მიმართულია სწორედ აქეთკენ.

XIX ყრილობამ მიიღო ჩვენი პარტიის წესდების ახალი, შეცვლილი ტექსტი. იგი ასახავს პარტიის შემდგომ განვითარებას, მის ზრდას, იმ ახალ ამოცანებს, რომლებიც დგას პარტიის თვითეული წევრის, თვითეული ორგანიზაციის წინაშე. ყრილობის გადაწყვეტილება ჩვენი პარტიის სახელწოდების შეცვლის შესახებ ნათელყოფს ლენინურ-სტალინური პრინციპების უდიდეს გამარჯვებას. პარტიის ახალი წესდება კიდევ უფრო ამაღლებს კომუნისტის წოდებას, აძლიერებს მის პასუხისმგებლობას პარტიის წინაშე, საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე. ახალი წესდება მიმართულია პარტიის ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისაკენ, კომუნისტთა ლენინურ-სტალინური აღზრდის გაძლიერებისაკენ, პარტიის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გარდაქმნისაკენ ახალი ვითარებისა და ახალი ამოცანების შესაბამისად.

ჩვენი პარტიისა და მოძმე პარტიების ცხოვრებისათვის უდიდეს მოვლენას წარმოადგენს ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვა, წარმოთქმული ყრილობის საბოლოო სხდომაზე, 14 ოქტომბერს. მასში მოცემულია მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების მოქმედების გენიალური პროგრამა, ურყევი სტალინური ლოგიკით დასაბუთებულია მტკიცე რწმენა იმისა, რომ მოძმე პარტიები მიაღწევენ წარმატებებსა და გამარჯვებებს კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში. ამხანაგ სტალინის სიტყვა აღაფრთოვანებს მსოფლიოს ხალხთა მილიონებს მშვიდობის, დემოკრატიის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში, აძლევს მათ საკუთარი ძალების მტკიცე რწმენას და უნათებს შემდგომი წინსვლის გზას.

16 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი შტაბის — ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აირჩია ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი და ცენტრალური კომიტეტის სამდივნო.

XIX ყრილობამ განსაკუთრებული ძალით ნათელჰყო ჩვენი პარტიის მტკიცე ერთიანობა, მისი ძალა და ძლიერება, პარტიის უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული თავისი ბრძენი ბელადის — დიდი სტალინისადმი. ყრილობა იყო ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო მთელი ჩვენი პარტიის მტკიცე დარაზმულობის ახალი უდიდესი დემონსტრაცია.

მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხები უდიდესი გატაცებით ადევნებდნენ თვალყურს მშობლიური პარტიის XIX ყრილობის მუშაობას, ეცნობოდნენ და ეცნობიან მის მასალებს, აძლიერებენ ბრძოლას საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის.

პარტიული ორგანიზაციების წინაშე ამჟამად დგას მეტად დიდი და საპატიო ამოცანა, რომლის განხორციელება მოითხოვს დაძაბულ მუშაობას, — ეს არის ყრილობის მასალების, მისი ისტორიული გადაწყვეტილებების პროპაგანდის ორგანიზაცია. ამ საქმის კარგად მოუწყობლად შეუძლებელია ნამდვილი ბრძოლის გაშლა ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ცნობილია, რომ ყოველ საქმეს, ყოველ წამოწყებას, ბრძოლას მხოლოდ მაშინ აქვს წარმატება, როდესაც მისი მოქმედი ძალებისათვის ნათელია მიზანი, როდესაც მასები გარკვეული არიან თავიანთ ამოცანაში. ხოლო რას ნიშნავს გაარკვიო მასა მის წინაშე დასმულ ამოცანაში? ეს ნიშნავს აუხსნა მას მიზნის არსი, დაანახვო მისი მიმართულება, გაარკვიო ყველა იმ აუცილებლობაში, რაც წარმოშობს ახალ ამოცანას; და, ბოლოს, ეს ნიშნავს მიუთითო მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებზე.

საჭიროა ჩვენი აგიტატორების, პროპაგანდისტების, ლექტორების, გაზეთების წამკითხველთა და მესაუბრეთა მთელი მუშაობა ახლა ისე მოვაწყოთ, რომ ისინი განუწყვეტლივ განუმარტავდნენ მასებს XIX ყრილობის შედეგებს, აკმაყოფილებდნენ მშრომელთა იმ უდიდეს ინტერესს, რომელსაც ისინი იჩენენ ყრილობის მასალებისადმი. ჯგუფურ აგიტაციასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ აგიტაციასაც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯგუფური აგიტაცია ყოველთვის ვერ მოიცავს თვითეულ მშრომელს. ინდივიდუალური აგიტაციის შეხამება ჯგუფურ აგიტაციასთან საშუალებას მოგვცემს თვალთახედვიდან არ გამოგვრჩეს არც ერთი მშრომელი.

სააგიტაციო მუშაობაში ფართოდ უნდა ჩავაბათ ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო ძალები, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მასებში და რომელთაც აქვთ სააგიტაციო საქმიანობის საკმაო გამოცდილება.

ყრილობის მასალების პროპაგანდაში თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულოს პრესამ, რომელიც მოწოდებულია არა მარტო გააშუქოს საagიტაციო მუშაობის მდგომარეობა, აჩვენოს და გაავრცელოს კარგი მაგალითები ან გააკრიტიკოს ნაკლოვანებები, არამედ აგრეთვე თვითონ იყოს ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მათი შესრულებისათვის ბრძოლის საშუალებათა პროპაგანდისტი.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, პლანტაციებში, ყველგან გამეფებულია მძლავრი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა.

„კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით,—აცხადებს ქართველი ნოვატორი-მეფოლადე ამხ. ა. ფანცულაია, — საბჭოთა ხალხმა გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია. პარტიის XIX ყრილობამ დაგვისახა ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურული დონის უმაგალითო აღმავლობის, კომუნიზმის მშენებლობის სტალინური პროგრამა. ჩვენ უსაზღვროდ გვიყვარს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია. მე გადავწყვიტე გავხდე სახელოვანი კომუნისტური პარტიის წევრი და ჩემს ცხოვრებაში ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა აღვნიშნო იმით, რომ ოქტომბერში გეგმის გადამეტებით მივცე სამშობლოს რამდენიმე ათეული ტონა ფოლადი“.

აი როგორ აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს ჩვენი პარტიის ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, აი როგორ უნერგავენ ეს გადაწყვეტილებანი საბჭოთა ადამიანებს ახალ გრძნობებს და როგორ უღვივებენ შემდგომი წინსვლის უძლიერეს წყურვილს!

„დიდი სტალინი ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია, — ამბობს ქუთაისელი მეავტომობილე, სტახანოველი ბ. ვაშაკიძე. — ამხანაგ სტალინს საბჭოთა ხალხი ძლევამოსილად მიჰყავს წინ, კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ. ბელადის ისტორიული სიტყვა ჩვენი ყოველდღიური შრომისა და ბრძოლის სახელმძღვანელოა. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი ქარხნის კოლექტივი ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებს ბელადის ისტორიულ სიტყვას. ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 400 პროცენტით გავანაღდო“.

აი როგორ წარმართავს საბჭოთა ადამიანებს ახალი შრომითი საგმირო საქმეებისაკენ ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის — დიდი სტალინის ისტორიული სიტყვა, როგორ აღანთებს მათში შემოქმედებითი შრომის ჩაუქრობელ გზნებას.

ყოველდღიურად მოდის ცნობები საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ახალ საწარმოო გამარჯვებათა შესახებ, რომლებიც მიღწეულია ყრილობის დროს და ყრილობის შემდგომ დღეებში. საბჭოთა მშრომელები საქმით უპასუხებენ მშობლიური პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებს. მათს ამ საგმირო საქმეებში გამოსჩვივის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების დიდი პატრიოტიზმი.

ჩვენმა აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა თავიანთ საუბრებში უნდა გამოიყენონ მშრომელთა შრომითი მამაცობის ფაქტები, უნდა აჩვენონ ადგილებზე შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა და ამით მჭიდროდ დაუკავშირონ დიადი ამოცანების პროპაგანდა ადგილობრივ ამოცანებს, ადგილობრივ ფაქტებს, რომ უფრო კონკრეტული, საინტერესო და ქმედითი გახადონ აგიტაცია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელთათვის ამხანაგ სტალინის ახალი შესანიშნავი ნაწარმოების — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“—გაცნობას. ამ გენიალური კლასიკური ნაშრომით დიდმა ბელადმა შემდგომ განავითარა და ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა მარქსიზმ-ლენინიზმი. ამხანაგი სტალინი აღნიშნულ ნაწარმოებში, იძლევა რა სოციალიზმის ეკონომიკის განვითარების საფუძვლების გენიალურ მეცნიერულ ანალიზს, გვიჩვენებს იმ გზებს, რომლებითაც განხორციელდება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა. ეს არის ახალი უდიდესი მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც აიარაღებს ჩვენს პარტიას, ჩვენს კადრებს, მთელ საბჭოთა ხალხს ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარების კანონებისა და კონკრეტული გზების ცოდნით. როგორც ამხანაგი სტალინი მიგვითითებს, ჩვენი საზოგადოების განვითარების ძირითად ეკონომიკურ კანონს წარმოადგენს „მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“. ამ გზით მიდის სოციალიზმის ქვეყანა კომუნიზმისაკენ.

ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ჩვენი ხალხი დღითიდღე უახლოვდება კომუნიზმის ნათელ და ბრწყინვალე შენობას. კომუნიზმი აღარ არის შორეული მომავლის საქმე, იგი უკვე ახლოსაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, დიდი სტალინის ბრძნული მითითებებით შეიარაღებული, მთელი მსოფლიოს ავანგარდში მდგომი ჩვენი ხალხი კვლავ თავდადებით იბრძოლებს და ახალ შესანიშნავ გამარჯვებებს მოიპოვებს კომუნიზმის მშენებლობაში.

ბულგარეთში გამოიცა გ. მ. მალენკოვის მოხსენება

სოფია, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ ცალკე ბროშურად 100 ათასი ცალი ტირაჟით გამოუშვა ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე.

დეპეშა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ამხანაგო თავმჯდომარევ!

ნება მიბოძეთ ჩინელი ხალხის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის და პირადად ჩემი სახელით გულითადი მადლობა გიძღვნათ თქვენი მოლოცვისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მესამე წლისთავის გამო, აგრეთვე გამოვთქვა სურვილი, რომ ორი ქვეყნის — ჩინეთისა და სსრ კავშირის დიადი ურღვევი მეგობრობა დღითიდღე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს.

მაო ძე-დუნი

დეპეშა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს

ამხანაგ ა. ი. ვიშინსკის

გთხოვთ, ამხანაგო მინისტრო, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა მეგობრული მოლოცვისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მესამე წლისთავის გამო.

ჯოუ ენ-ლაი

დეპეშა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ამხანაგ ნ. მ. შვერნიკს

მოსკოვი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელის და მთელი გერმანიის მშვიდობისმოყვარე მოსახლეობის სახელით მადლობას გიძღვნით თქვენ, აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გულითადი მოლოცვისათვის გერმანელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მესამე წლისთავის გამო.

მთელი გერმანელი ხალხი გრძნობს, რომ უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხთან და მის მთავრობასთან, რომლებიც უანგარო მეგობრობით მხარს უჭერენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტურ მშენებლობას და გერმანელი ხალხის ბრძოლას ერთიანობისა და საზავო ხელშეკრულებისათვის.

ვილჰელმ პიკი

დეპეშა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

მოსკოვი

ნება მიბოძეთ, დიდად პატივცემულო ამხანაგო სტალინ, ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელის სახელით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის და პირადად ჩემი სახელით გულითადი მადლობა გიძღვნათ მოლოცვისათვის გერმანელი ხალხისადმი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი და ჩემდამი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მესამე წლისთავის გამო.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ შვერნიკის ყოფნა გერმანიის დიდაქალაქ ბერლინში ჩვენი ეროვნული დღესასწაულის გამო გერმანელ ხალხს მიაჩნია იმ ნდობის ახალ და დიდ დადასტურებად, რომლითაც საბჭოთა კავშირის ხალხები ეპყრობიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, მის მთავრობასა და მოსახლეობას. ყველა ჭეშმარიტი პატრიოტი მადლობას გიძღვნის თქვენ, პატივცემულო ამხანაგო სტალინ, და დიდ საბჭოთა ხალხს იმ ნდობისა და მუდმივი უანგარო მხარდაჭერისათვის, რასაც უწევთ გერმანელ ხალხს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიან შემოქმედებითს მუშაობაში და მის ბრძოლაში ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის. გერმანელი ხალხი დაუცხრომლად და სულ უფრო მეტი ენერგიით განაგრძობს თავის სამართლიან ბრძოლას ძლევამოსილად დამთავრებამდე.

ოტო გროტევოლი

დეპეშა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს

ბატონ ა. ი. ვიშინსკის

მოსკოვი

პატივი მაქვს, პატივცემულო ბატონო მინისტრო, ჩემი გულითადი მადლობა გიძღვნათ თქვენი გულწრფელი მოლოცვისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მესამე წლისთავის გამო და გარწმუნებთ, რომ გერმანელი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხებთან მტკიცე განუყრელი მეგობრობით დაუცხრომლად იშრომებს, რათა ააშენოს ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფო.

გეორგ დერტინგერი,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ბელადის სიტყვას სტახანოვური შრომით უპასუხებენ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმულმა შთამაგონებელმა სიტყვამ, რომელიც საბჭოთა ადამიანებისა და მსოფლიოს ყველა მშრომელის მშვიდობისათვის ბრძოლის სახელმძღვანელოს წარმოადგენს, უდიდესი ინტერესი გამოიწვია თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის კოლექტივში.

კომუნიზმის დიდი ხუროთმოძღვრის ბრძნული სიტყვები ღრმად ჩასწვდა გულში ჩვენი ქვეყნის თვითეულ მოქალაქეს, აღაგზნო მშობლიური პარტიისათვის სიამაყის გრძნობით, ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის.

— ამხანაგ სტალინის გენიალურ სიტყვას, — განაცხადა ელექტროსაამქროს უფროსმა ი. ბზარაშვილმა, — უდიდესი ინტერესით გავეცანით. ჩვენი ვალია სტახანოვური შრომით ვუპასუხოთ ბელადის ისტორიულ გამოსვლას.

— პარტიის XIX ყრილობა, — თქვა ელექტროსაამქროს აგიტატორმა გ. ქოქნაშვილმა, — დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ყველა წარმატება, რაც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ, მიღწეულია საბჭოთა ხალხის ავანგარდის—კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში უდგას ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი.

— მშობლიური კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის შედეგად, — ამბობს მოწინავე ხარატი ამხ. გ. გოტვაძე, — განუხრელად იზრდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, განუზომლად ამაღლდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. გადაწყვეტილ მქონდა ყრილობასთან დაკავშირებით სექტემბერში ისე მემუშავა, რომ ჩემი საწარმოო მაჩვენებელი 255 პროცენტამდე ამეყვანა. სიტყვა შევასრულე — ნორმის 358 პროცენტით შესრულებას მივაღწიე. გავეცანი რა ამხანაგ სტალინის სიტყვას, ყრილობის მასალებს, ვკისრულობ: მიმდინარე თვის დავალება სამმაგად გავანაღდო!

ელექტროზეინკალმა ი. ბოროდაევმა ვალდებულებით ნაკისრი 150 პროცენტის ნაცვლად წინა თვის საწარმოო გეგმა ორმაგად შეასრულა. ახლა კი პირობას იძლევა, რომ ოქტომბრის მეორე ნახევარში უკეთესად იმუშავებს —ყოველდღიურ ნორმას 180 პროცენტით განახორციელებს.

— სხვებს არც ახალგაზრდები ჩამორჩებიან, — თქვა საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ელექტროზეინკალმა ა. შენგელიამ. — სექტემბერში კარგი მუშაობით კომკავშირელი ვ. ტასტანოვსკი საამქროს მოწინავე ადამიანთა შორის გამოვიდა. ასეთები ერთიოლები როდი არიან ამ თვითონ სექტემბრის გეგმა 205-ის ნაცვლად 220 პროცენტით შეავასრულე. ახლა სიტყვას ვიძლევი ამ მაჩვენებელს კიდევ 5 პროცენტით გადავაჭარბო, ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

როგორც ყრილობისათვის მზადების, ისე მისი მუშაობის დღეებში, განსაკუთრებით საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის სიტყვის შემდეგ საამქროში დიდად გაიზარდა მუშათა შრომითი ენთუზიაზმი. გეგმების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად ისინი შემოქმედებითად წყვეტენ მრავალ საჭირბოროტო საკითხს. ზეინკალ კ. ტკაჩოვას წინადადებით შესაკეთებელ ავტომანქანებზე საინდუქციო კოჭების ხუფებს ახლა ისე ხსნიან, რომ ისინი ვარგისი არიან შემდგომი ექსპლოატაციისათვის.

დიდი სტალინის სიტყვის, ყრილობის გადაწყვეტილებათა გაცნობის შემდეგ საამქროს კოლექტივმა მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება — შრომაში ახალი წარმატებებით ასახელოს სოციალისტური სამშობლო, რისთვისაც იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

ბათუმის რაიონმა შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა

ბათუმის რაიონის მეჩაიეები პრაქტიკული საქმეებით უპასუხებენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს. რაიონმა 18 ოქტომბრისათვის შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა. რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 450 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ქუთაისის რაიონმა შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა

ქუთაისის რაიონმა 17 ოქტომბრისათვის 101,4 პროცენტით შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა. რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება აიღეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 2.000 ცენტნერი ყურძენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის XIX ყრილობა

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვა

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალა შემოვიტანო XIX ყრილობაზე წინადადება ჩვენი პარტიის პროგრამის გადამუშავების შესახებ.

XVIII ყრილობაზე არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამის შემცვლელი კომისია. როგორც ცნობილია, პარტიამ დაკარგა გამოჩენილი ამხანაგები, რომლებიც კომისიის წევრები იყვნენ, — ამხანაგები კალინინი, ჟდანოვი, შჩერბაკოვი, იაროსლავსკი. კომისიას შესაძლებლობა არა ჰქონდა შეესრულებინა დაკისრებული დავალება. დიდმა სამამულო ომმა და ომის შედეგების ლიკვიდაციისათვის მუშაობამ, სახალხო მეურნეობის აღდგენის დიდმა მუშაობამ ხელი შეუშალა კომისიას მუშაობის დამთავრებაში.

ახლა, პარტიის XIX ყრილობის შემდეგ, ამ რთული ამოცანის შესასრულებლად უფრო ხელსაყრელი პირობები იქნება. ჩვენ შევიძინეთ გამოცდილება დიდი სამამულო ომის წლებში, რომელშიც გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, მეურნეობის ჩვენმა სოციალისტურმა სისტემამ, ჩვენმა მამაცმა საბჭოთა არმიამ. ჩვენ შევიძინეთ სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და შემდგომი განვითარების გამოცდილება.

ჩვენი პარტიის მუშაობის ახლანდელი პერიოდი ძირეულად განსხვავდება 1919 წლის პერიოდისაგან, როცა მიღებულ იქნა ჩვენი პარტიის პროგრამა. VIII ყრილობის დროიდან, როცა მიღებულ იქნა ახლანდელი პროგრამა, ძირეული ცვლილებები მოხდა საერთაშორისო ურთიერთობის დარგში და სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის დარგში.

ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან პარტიის VIII ყრილობის შემდეგ განვლილი წლების მანძილზე გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ. ლიკვიდირებულია მეურნეობის წინათ არსებული მრავალწყობიანობა, განუყრელად ბატონობს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა — საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო. ჩვენმა ქვეყანამ სრულიად იცვალა სახე. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში აშენდა სოციალიზმი.

განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე, განსაკუთრებით დიდ სამამულო ომში, საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების შედეგად განუზომლად გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ძალერება და ავტორიტეტი. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებათა შედეგები, ჩვენი მიღწევები მკაფიოდ იყო ნაჩვენები მოხსენებებსა და გამოსვლებში პარტიის XIX ყრილობაზე.

ყველა ამ ცვლილებასთან დაკავშირებით ჩვენი პარტიის პროგრამის მთელი რიგი დებულებანი და იქ ჩამოყალიბებული ამოცანები, რამდენადაც ისინი უკვე განხორციელდა ამ პერიოდში, აღარ შეესაბამება ახლანდელ პირობებს და პარტიის ახალ ამოცანებს. სწორედ ამიტომ აუცილებლად საჭიროა ჩვენი პარტიის პროგრამის გადამუშავება.

პროგრამის მიღების შემდეგ განვლილი ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე პარტია და მისი ბელადი ამხანაგი სტალინი, ხელმძღვანელობდნენ რა შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმით ავითარებდნენ პარტიის თეორიას, ავითარებდნენ და ახალი მეცნიერული აღმოჩენებით ამდიდრებდნენ მარქს—ენგელს—ლენინის თეორიას.

თავის გენიალურ შრომებში ამხანაგმა სტალინმა დაამუშავა ყველა უმნიშვნელოვანესი პროგრამული საკითხი, როგორიც არის: ერთ ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების საკითხის ორი მხარე, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, სოციალისტური სახელმწიფო, სოციალისტური ერები, ენათმეცნიერების მარქსისტული თეორია და მთელი რიგი სხვა დიდი თეორიული და პრაქტიკული პრობლემები.

გადამუშავებულ პროგრამაში უნდა აისახოს ყოველივე ის ახალი, რაც მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში შეიტანა ჩვენმა ბელადმა და მასწავლებელმა დიდმა სტალინმა. **(მქუხარე ტაში).**

პარტიის ახალმა გადამუშავებულმა პროგრამამ უნდა განაზოგადოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილება, სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების გამოცდილება და განსაზღვროს პარტიის მთავარი ამოცანის—სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანის შესრულების შემდგომი გზები.

პროგრამის გადამუშავებისა და კომუნიზმის მშენებლობის შემდგომი გზის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენმა პარტიამ თავისი XIX ყრილობისათვის მიიღო ამხანაგ სტალინის ახალი კლასიკური ნაწარმოები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

ეს გენიალური ნაწარმოები ჩვენი პარტიის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისა და ყველა მოძმე კომუნისტური პარტიის იდეურ-თეორიული ცხოვრების უდიდესი მოვლენაა.

ჩვენი დიდი ბედნიერებაა, რომ ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი, რომლებიც კომუნიზმს აშენებენ, ყოველთვის, განუწყვეტლივ მდიდრდებიან, იარაღდებიან დიდი სტალინის გენიალური თეორიული შემოქმედებით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგმა სტალინმა დააყენა და გადაწყვიტა ძირითადი საკითხები, როგორიც არის: ეკონომიკური კანონების ხასიათი სოციალიზმის დროს, საქონლის წარმოება სოციალიზმის დროს, ღირებულების კანონი სოციალიზმის დროს, საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე საკოლმეურნეო საკუთრების ამაღლების ღონისძიებანი, თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონები, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის სამი ძირითადი წინასწარი პირობა, ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებით განსხვავებათა ლიკვიდაცია, ერთიანი მსოფლიო ბაზრის დაშლა და მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისის გაღრმავება, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომების გარდუვალობა.

ამხანაგ სტალინის ახალი შრომის ისტორიული მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ საბჭოთა კავშირში შესრულდა სოციალიზმის აშენების ამოცანა და ახლა პარტიის წინაშე მთელი სიღრმით დაისახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის უზრუნველყოფის ახალი ამოცანები. ამხანაგ სტალინის ახალი ნაწარმოები თეორიულად და პრაქტიკულად წყვეტს უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რომლებიც პარტიის წინაშე დაისახა ახალ ისტორიულ პირობებში. პარტიის პროგრამის გადამუშავების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ ამხანაგ სტალინის ნაწარმოების „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — ძირითადი დებულებებით.

ამხანაგ სტალინის გენიალურ შრომას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი საბჭოთა ხალხს, რომელსაც ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს, სტალინური გენიის პროექტორით უნათებს ჩვენი სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის რაც შეიძლება მალე აშენების გზას. **(ტაში).**

იხელმძღვანელებს რა ამხანაგ სტალინის ნაწარმოების — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — ძირითადი დებულებებით და გადაამუშავებს რა პარტიის პროგრამას, ჩვენი დიდი პარტია კიდევ უფრო სწრაფად წაიყვანს საბჭოთა ხალხს წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. **(მქუხარე ტაში).**

წავიკითხავ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის გადამუშავების შესახებ XIX ყრილობის რეზოლუციის პროექტს:

პარტიის XIX ყრილობა აღნიშნავს, რომ პარტიის VIII ყრილობის შემდეგ (1919 წელი), როცა მიღებულ იქნა პარტიის ახლანდელი პროგრამა, ძირეული ცვლილებანი მოხდა როგორც საერთაშორისო ურთიერთობის დარგში, ისე სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის დარგში, და ამასთან დაკავშირებით პროგრამის მთელი რიგი დებულებანი და იქ ჩამოყალიბებული ამოცანები პარტიისა, რამდენადაც ისინი უკვე განხორციელებულია ამ პერიოდში, აღარ შეესაბამება თანამედროვე პირობებსა და პარტიის ახალ ამოცანებს. ამის გამო ყრილობა აღგენს:

1. საჭიროდ და დროულად ჩაითვალოს პარტიის არსებული პროგრამის გადამუშავება.

2. პროგრამის გადამუშავებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ამხანაგ სტალინის ნაწარმოების — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — ძირითადი დებულებებით.

3. პარტიის პროგრამის გადამუშავების განხორციელება მიენდოს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგი სტალინი — კომისიის თავმჯდომარე **(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა).** კომისიის წევრები: ამხანაგები ბერია, კაგანოვიჩი, კუუსინენი, მალენკოვი, მოლოტოვი, პოსპელოვი, რუმიანცევი, საბაროვი, ჩესნოკოვი, იუდინი.

4. პარტიის გადამუშავებული პროგრამის პროექტი განსახილველად წარედგინოს საბჭოთა კავშირის კომპარტიის შემდეგს ყრილობას. **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხ. ა. ნ. კოსიგინის სიტყვა

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. მალენკოვის მიერ ნაჩვენებია მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მოიპოვა, და პარტიისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახულია გრანდიოზული ამოცანები შემდგომი წინსვლისა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზაზე.

ჩვენი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის — დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ სახელოვანი გმირული გზა განვლეს. ლენინ—სტალინის მოძღვრებით შეიარაღებულმა პარტიამ ძლევამოსილად გამოატარა ჩვენი სამშობლოს ხალხები დიდი სამამულო ომის მკაცრ განსაცდელში. უმაგალითოდ მოკლე ვადაში მოიშუშა ჩვენმა ქვეყანამ ომით მიყენებული მძიმე ჭრილობები და უდიდეს წარმატებებს მიაღწია კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებაში, რომელიც შემუშავებულია ამხანაგ სტალინის მიერ.

ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ პარტიასა და საბჭოთა ხალხს უსახავს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვების გზას. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების ძირითადი ეკონომიკური კანონია „მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“.

პარტია, მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი ყოველდღიურად დაუცხრომლად ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ყველა ღონისძიებით ადიდებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში გაწეულია უდიდესი მუშაობა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის განსავითარებლად საბჭოთა ხალხის განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის.

პარტიის ბრძნულმა სტალინურმა პოლიტიკამ უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში მძიმე ინდუსტრიისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი განვითარება და ამ ბაზაზე მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგის ყოველმხრივი განვითარება და მასობრივი მოხმარების საგნების გამოშვების განუწყვეტელი გადიდება.

შექმნილია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი დიდი საფეიქრო, სატრიკოტაჟო, სამკერვალო, ბეწვეულის, ფეხსაცმლისა და ტყავეულის საწარმოები. ვითარდება ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს, ტყავის შემცვლელთა, მთრიმლავი ექსტრაქტების წარმოებისა და ლაფნეული კულტურების პირველადი დამუშავების მრეწველობის ახალი დარგები. უკანასკნელ წლებში აიგო და ახალი ტექნიკის ბაზაზე რეკონსტრუირებულ იქნა მსუბუქი მრეწველობის ბევრი დიდი საწარმო. მძველებული, მცირე წარმადობის მოწყობილობა იცვლება სრულყოფილი კონსტრუქციის მანქანებით და აგრეგატებით. ომისშემდგომ პერიოდში მსუბუქ მრეწველობაში დაიდგა 170 ათასზე მეტი ახალი დაზგა და მანქანა. საწარმოთა რეკონსტრუქცია მიზნად ისახავს უწინარეს ყოვლისა უზრუნველყოს პროდუქციის ერთეულზე შრომის ხარჯვის სისტემატური შემცირება და წარმოების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესება წარმოების პროცესთა შემდგომი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, კონვეიერთა შემოღებისა და წარმოებაში გადასვლათა რაოდენობის შემცირების გზით.

ავიღოთ, მაგალითად, ბამბეულის მრეწველობა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ბამბეულის მრეწველობა მუშაობდა ძველი, მცირე წარმადობის მიულ-მანქანებით, რომლებიც ტექნიკურად ჩამორჩენილია. ახლა მათ მაგიერ დადგმულია დიდი წარმადობის ახალი სართავი მანქანები. ახალ სართავ მანქანებს ოთხჯერ უფრო ნაკლები ფართობი უკავიათ, ხოლო თითისტარების წარმადობა 60-65 პროცენტით მეტია მიულ-მანქანებისაზე. სართავ ფაბრიკებში ახალი მოწყობილობის დადგმით ძირითადი სამანქანო ოპერაციების (გადასვლების) რაოდენობა 12-დან 6-მდე მცირდება.

საქსოვ ფაბრიკებში ხორციელდება ძველი მექანიკური დაზგების შეცვლა ავტომატური დაზგებით, რაც საშუალებას გვაძლევს ერთნახევარ-ორჯერ გავადიდოთ მქსოველთა შრომის ნაყოფიერება.

ძირეული ცვლილებები მოხდა სატრიკოტაჟო მრეწველობის საწარმოთა ტექნიკურ აღჭურვილობაში. ხორციელდება ხელოვნური ბოჭკოს მრეწველობის რეკონსტრუქცია ახალი ტექნიკის ბაზაზე. შემუშავებულია ამ წარმოების ახალი ტექნოლოგია, რის შედეგად ხელოვნური ბოჭკოს გამოშვება 4,5-ჯერ გადიდდა 1940 წელთან შედარებით.

ფეხსაცმლის, სამკერვალო, სატრიკოტაჟო, ბეწვეულისა და ტყავსაგალანტერიო მრეწველობის საწარმოთა უმრავლესობა გადაყვანილია კონვეიერულ-ნაკადურ სისტემაზე. ამან საშუალება მოგვცა გადაგვექცია ისინი მსუბუქი მრეწველობის მსხვილ მექანიზებულ დარგებად და რეკონსტრუირებულ საწარმოთა შრომის ნაყოფიერება გაგვედიდებინა ფეხსაცმლის მრეწველობაში 20 პროცენტით, ბეწვეულის მრეწველობაში — 40 პროცენტით და სამკერვალო მრეწველობაში — 30 პროცენტით.

მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგის წარმატებით აღდგენისა და შემდგომი განვითარების შედეგად მიღწეულია ქსოვილის, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟისა და სხვა ნაკეთობათა წარმოების ომამდელი დონე. 1952 წელს მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 43 პროცენტით გადააჭარბებს ომამდელს, აქედან: შალეულისა — 60 პროცენტით, სატრიკოტაჟო ნაკეთობისა — 60 პროცენტზე მეტით, აბრეშუმის ქსოვილებისა — 2,8-ჯერ.

სულ სხვა სურათს ვხედავთ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მრეწველობის გადაყვანას ამერიკელი იმპერიალისტების მიერ თავსმოხვეული სამხედრო პროგრამის განხორციელებაზე და კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის დამორჩილებას ამერიკის მონოპოლიების ინტერესებისადმი შედეგად მოჰყვა სამოქალაქო მრეწველობის მკვეთრად შეკვეცა, ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების შემცირება, ბევრი საწარმოს კონსერვაცია, უმუშევრობის ზრდა და მშრომელთა მყიდველობითი უნარის მკვეთრად შემცირება.

ავიღოთ, მაგალითად, ინგლისის საფეიქრო მრეწველობა, რომელიც, უნდა ითქვას, არც ისე დიდი ხნის წინათ ყველაზე განვითარებული იყო და ხელთ ეპყრა საფეიქრო საქონლის გასაღების თითქმის ყველა ძირითადი ბაზარი.

1951 წელს ბამბეულის წარმოება ინგლისში ომამდელთან შედარებით 40 პროცენტით შემცირდა. ომისშემდგომ წლებში საფეიქრო საწარმოთა სიმძლავრე ბამბეულის თითისტარების მხრივ შემცირდა 28 პროცენტით, ხოლო საქსოვი დაზგების მხრივ — 24 პროცენტით. მრავალი საფეიქრო ფაბრიკა კონსერვაციაშია. მოქმედი ფაბრიკები ძველი მოწყობილობით მუშაობენ. საკმარისია ითქვას, რომ ინგლისის მრეწველობაში ამჟამად არის 70 პროცენტამდე მცირე წარმადობის ძველი სართავი მიულ-მანქანები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ჩვენი მრეწველობიდან უკვე სავსებით განდევნილია.

უკანასკნელ წლებში ინგლისის ბამბეულის მრეწველობაში მუშათა რიცხვი 26 პროცენტით შემცირდა. ნაკლებ კრიზისს როდი განიცდის აგრეთვე ინგლისის შალის მრეწველობა. შალის საქსოვი ფაბრიკების სიმძლავრე 30 პროცენტით შემცირდა. ინგლისს საფეიქრო მრეწველობის მუშათა მრავალრიცხოვან რაზმში ძლიერდება ისედაც დიდი სიღატაკე და უმუშევრობა.

დიდი დაქვეითებაა საფრანგეთის აბრეშუმის მრეწველობაში, სადაც სამუშაო კვირა 20-24 საათამდე შემცირდა. ნორვეგიის საფეიქრო მრეწველობაში საფეიქრო ფაბრიკები კვირაში ორ-სამ დღეს მუშაობენ. თურქეთში მას შემდეგ, რაც თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა ნება დართოს შემოზიდონ ამერიკის საფეიქრო საქონელი, დაიხურა 50-მდე საფეიქრო ფაბრიკა და მუშები ქუჩაში გაყარეს.

მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში იკვეცება სამშვიდობო პროდუქციის დამამზადებელი დარგები, სულ უფრო მცირდება სამოქალაქო ასორტიმენტის საქონლის გამოშვება, განუწყვეტლივ ეცემა მოსახლეობის მოხმარება და უარესდება მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, ჩვენში, საბჭოთა კავშირში, წლითიწლობით განუხრელად იზრდება ფართო მოხმარების საგნების წარმოება, სისტემატურად მცირდება ფასები და უმჯობესდება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა.

ასრულებენ რა პარტიის, მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის მითითებებს მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების განუხრელად გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა ომისშემდგომ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მრეწველობის გარდაქმნისათვის ნაკეთობათა ასორტიმენტის გაფართოების, ხარისხის ამაღლებისა და გარეგნული გაფორმების გაუმჯობესების მიზნით. ლენინ—სტალინის პარტიის მიერ აღზრდილმა მსუბუქი მრეწველობის წარმოების ნოვატორებმა თავიანთი შემოქმედებითი ინიციატივით წამოიწყეს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შესანიშნავი მოძრაობა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით გამოყენებისა და თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის.

მსუბუქმა მრეწველობამ გარკვეულ შედეგებს მიაღწია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ნაკეთობათა ასორტიმენტის გაფართოებაში. მაგრამ ამ საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი სერიოზული ნაკლი, რომლებიც უნდა აღმოვფხვრათ.

ამხ. მალენკოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით უშვებენ ნაკლებხარისხოვან პროდუქციას. ამხ. მალენკოვის მითითება, რომ მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ირღვევა სახელმწიფო დისციპლინა პროდუქციის ხარისხის მიმართ, მთლიანად ეხება მსუბუქ მრეწველობას, მის მრავალ საწარმოს.

დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ აგრეთვე სამკერვალო მრეწველობაში ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის. უახლოეს დროში ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაფართოოთ სამკერვალო ნაკეთობათა წარმოება, გავაუმჯობესოთ შეკერვის ხარისხი და მოდელირების საქმე. სამკერვალო მრეწველობა სუსტად არის განვითარებული აღმოსავლეთ რაიონებში, ურალსა და შუა აზიაში. ჩვენ იძულებული ვართ სამკერვალო მრეწველობის პროდუქცია შევიტანოთ ამ რაიონებში, რაც არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. საჭიროა მეხუთე ხუთწლედში მეტწილ ოლქებში შევქმნათ სამკერვალო საწარმოები და მინიმუმამდე შევამციროთ სამკერვალო საქონლის შორმანძილზე გადაზიდვა.

ჩვენი ბამბეული, შალეული, აბრეშუმის, სელის ქსოვილები, სატრიკოტაჟო ნაკეთობანი, ფეხსაცმელი გამძლე და კარგი ხარისხისაა. მაგრამ მთელ რიგ ნაკეთობებს აკლია გარეგნული დამუშავება. თუ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მსუბუქი მრეწველობის ბევრი ნაკეთობა დეფიციტური იყო, ამჟამად ამ ნაკეთობათა მეტი ნაწილი საკმაო რაოდენობით არის სავაჭრო ქსელში. ეს კიდევ უფრო ავალებს ჩვენს მრეწველობას სისტემატურად გაუმჯობესოს მუშაობა, გარდაქმნას იგი ახალი, უკეთესი ასორტიმენტის, უფრო ლამაზი, კარგი ხარისხის საქონლის გამოსაშვებად, რათა სავსებით უზრუნველყოს საბჭოთა მომხმარებლის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამიტომ უახლოეს დროში დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ გარეგნული დამუშავების წარმოებებში და უზრუნველვყოთ მსუბუქი მრეწველობის ყველა ნაკეთობის დამუშავების ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება.

საფეიქრო მრეწველობის ყველა დარგში მატულობს ფერად-ფერადი და კარგად შეღებილი ქსოვილების გამოშვება. პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების საქმე მოითხოვს მოეწყოს მთელი რიგი ახალი საღებრების, უმთავრესად მკვიდრი და მკვეთრი ფერის საღებრების გამოშვება. საჭიროა

(დასასრული მე-3 გვერდზე)

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი ხალხის ნებაა

მოსკოვის ა. ი. ეფრემოვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივი გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს პარტიის XIX ყრილობის მუშაობას და ახლა გულდასმით სწავლობს მის მასალებს.

15 ოქტომბერს საწარმოს ყველა საამქროს მოეფინა აღმაფრთოვანებელი ცნობა იმის შესახებ, რომ ყრილობის საბოლოო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა. ჩარხმშენებლები მხურვალედ იხილავენ საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის სიტყვას.

— ჩვენ, კრასნიპროლეტარელები,— თქვა ხარატმა ა. მარკოვმა, — მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ვიწონებთ ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომლის მიზანია დიადი სამშობლოს ეკონომიკური ძლიერების შემდგომი გადიდება. მოხარული ვარ განვაცხადო, რომ პარტიის ყრილობის დღეებში, ვმუშაობდი რა ერთსა და იმავე დროს ორ დიდ სახარატო ჩარხზე, ყოველდღე ვასრულებდი სამ-ოთხ ნორმას. ჩვენ, მუშები, სიტყვას ვაძლევთ პარტიასა და პირადად ამხანაგ სტალინს, რომ სრულად შევიტანთ ჩვენს სტახანოვურ წვლილს მეხუთე სტალინური ხუთწლედის წარმატებით განხორციელების საქმეში.

ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა ამხ. ა. ფილატოვმა საუბარში განაცხადა:

— თავის გენიალურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ კომუნიზმში გადასვლის მომზადების ერთ-ერთი ძირითადი წინასწარი პირობაა მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და საწარმოო საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის მტკიცედ უზრუნველყოფა. ასრულებდა რა ბელადის ამ მითითებას, პარტიის XIX ყრილობამ დასახა მეხუთე სტალინურ ხუთწლედში სსრ კავშირის განვითარების გრანდიოზული პროგრამა. დიდი ამოცანები დგას ჩვენი საწარმოს კოლექტივის წინაშეც. ქარხანა „კრასნი პროლეტარმა“ უნდა შექმნას ათობით ახალი მოდელის ორიგინალური ჩარხები.

ძირითადად ესენი იქნებიან მძლავრი ლითონდამამუშავებელი ავტომატები, ნახევარავტომატები, ავტომატური ხაზები და სხვ. მათ ექნებათ ჰიდრავლიკისა და პნევმატიკის უაღრესად თანამედროვე აპარატურა და მთლიანად ელექტროფიცირებული იქნებიან.

კრასნიპროლეტარელები XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს უპასუხებენ ახალი საწარმოო წარმატებებით. საწარმოს საამქროებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის XIX ყრილობა

ამხ. ა. ნ. კოსიგინის სიტყვის დასასრული

აგრეთვე ავითვისოთ მთელი რიგი ახალი ქიმიური პროდუქციის წარმოება, რომელთა გამოყენების შედეგად ქსოვილი არ იქმუჭნება, წყალგამძლე ხდება და არ შეიკლებს, უმჯობესდება მისი ხარისხი, და მნიშვნელოვნად გავაფართოოთ სინთეზური ბოჭკოს გამომუშავებისათვის საჭირო ნედლეულის წარმოება.

უნდა უზრუნველვყოთ მსუბუქი მრეწველობის გამაღიზიანებელი ორგანიზაციების მუშაობის ძირეული გაუმჯობესება, მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ოლქს, მხარესა და რესპუბლიკას თავის დროზე და თანაბარზომიერად მისდიოდეს საქონელი. სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად უფრო ფართოდ უნდა დავაყენოთ საქონელზე მომხმარებელთა მოთხოვნის შესწავლა და თავის დროზე გადავიყვანოთ მრეწველობა მომხმარებლისათვის საჭირო ნაწარმის გამომუშავებაზე.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგის ძირეულ რეკონსტრუქციას, უახლესი ტექნიკით მათს აღჭურვას, მანქანების უფრო ფართო ავტომატიზაციასა და აგრეგირებას, მოწყობილობის სიჩქარეთა შემდგომ გადიდებას.

უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე წარმოების განუწყვეტელი გაუმჯობესება მრეწველობის წარმატებით განვითარების ძირითადი პირობაა. ჩვენ გვესაჭიროება არა საერთოდ მანქანები, არამედ უაღრესად მოწინავე ტექნიკის მანქანები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის მოთხოვნებს, უზრუნველყოფდნენ, რომ ამ მანქანებით შეიძლებოდეს პროდუქციის უფრო რთული და ძვირფასი ასორტიმენტის დამზადება, რომ ეს მანქანები კიდევ უფრო აადვილებდნენ წარმოებაში მუშის შრომას. ყველა ამ მოთხოვნას როდი აკმაყოფილებენ ცალკეული მანქანები, რომლებსაც ახლა მრეწველობას აწვდიან მანქანათმშენებელი ქარხნები.

მსუბუქი მრეწველობის წინაშე პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში დასახული ამოცანები აუცილებლად მოითხოვენ, რომ მანქანათმშენებელი ქარხნები თავის დროზე ასრულებდნენ ახალი ნიმუშების მანქანების წარმოების ათვისებისა და მათი სერიული გამოშვების გეგმებს.

მოკლედ უნდა შევეხო ზოგიერთი სახეობის ნედლეულით მსუბუქი მრეწველობის უზრუნველყოფის საკითხებს.

მსუბუქი მრეწველობისათვის მძლავრი სანედლეულო ბაზის შექმნისადმი ამხანაგ სტალინის განსაკუთრებით დიდი ყურადღების მეოხებით ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგის მოთხოვნილებას ნედლეულის მხრივ.

საბჭოთა მებამბეობა შემდგომი აღმავლობის გზით მიდის, წლითიწლობით დიდდება ბამბის მოსავალი. მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ნედლი ბამბის წარმოების შემდგომი დიდი ზრდა.

მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ნედლი ბამბის გაწმენდასთან დაკავშირებულ საკითხებს. მებამბეობის სამინისტრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს ბამბის საწმენდი მრეწველობის მუშაობას, მრეწველობისა, რომელიც უკვე ახლა ვერ ართმევს თავს მთელი დამზადებული ნედლი ბამბის დადგენილ ვადებში გაწმენდას. მე მგონია ამხ. იუსუპოვს ტყუილად წარმოუდგენია, რომ ბამბის გაწმენდის საქმე ძნელი გადასაწყვეტი პრობლემაა. ტექნიკურად ეს საკითხი დიდი ხანია გადაწყდა. ჩვენი ბამბა მსოფლიოში საუკეთესოა როგორც სიგრძის, ისე სიწმინდის მხრივ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამხ. იუსუპოვმა, მებამბეობის სამინისტრომ სათანადოდ ვერ მოაწყეს ქარხნებში ბამბის გაწმენდისათვის მუშაობა. ბამბის გაწმენდის ხარისხი ამ უკანასკნელ ორ წელიწადში გაუარესდა, და საფეიქრო ფაბრიკებს სისტემატურად აწვდიან მეტად დანაგვიანებულ ბამბას, რაც ამცირებს მრეწველობის მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

მებამბეობის სამინისტრომ ძირეულად უნდა გაუმჯობესოს ბამბის საწმენდი ქარხნების მუშაობა, აგრეთვე უზრუნველყოს უმაღლესი ხარისხის ბამბის დამზადების შემდგომი გადიდება, წმინდაბოჭკოიანი ბამბის წარმოების გაფართოება და სასელექციო მუშაობის გაძლიერება იმ მიმართულებით, რომ უწინარეს ყოვლისა მოვიყვანოთ ახალი საადრეო უხვმოსავლიანი ჯიშების ბამბა, განსაკუთრებით მებამბეობის ახალი რაიონებისათვის.

მთელ რიგ ოლქებსა და რესპუბლიკებში ამ უკანასკნელ ხანამდე სათანადოდ არ აფასებდნენ მესელეობის განვითარების დიდ მნიშვნელობას, რასაც მოწმობს მესელეობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მესელეობის მთელ რიგ რაიონებში. ისეთ ოლქებშიც კი, როგორიც არის კოსტრომის, სმოლენსკის, იაროსლავლის ოლქები, რომლებსაც სელის დიდი წარმოება აქვთ და სელის ბოჭკოს დიდი მომხმარებლები არიან, მესელეობას საკმაო ყურადღება არ ექცევა. ამ ოლქებში სელის დამზადების გეგმა არ სრულდება და ამის გამო სელის მრეწველობის საწარმოები მუშაობის მძიმე პირობებში არიან.

მესელეობის მცირე საქონლიანობა გაპირობებულია უმთავრესად სელის დიდი დანაკარგით მოსავლის აღებისა და პირველადი დამუშავების ყველა სტადიაზე. მოსავლის დიდი დანაკარგი იმის შედეგია, რომ მოსავლის აღება ხდება გვიან, როგორც წესი, უკანასკნელ რიგში სხვა კულტურებთან შედარებით. მთელ რიგ ოლქებში სელი მინდვრადვე ბერდება და კარგავს თავის ხარისხს. მოსავლის დანაკარგი დაკავშირებულია აგრეთვე მესელეობაში შრომის ნაყოფიერების შეფარებით დაბალ დონესთან, რაც გამოწვეულია მოსავლის აღების სამუშაოთა არასაკმაო მექანიზაციით.

მთავრობამ დიდი შეღავათები მისცა კოლმეურნეობებს. გადიდდა დასამზადებელი ფასები, მინერალური სასუქების გაცემა. ხორციელდება ღონისძიებანი, რათა მექანიზებულ იქნას სელის მოყვანის სამუშაოები და მისი პირველადი დამუშავება.

მესელეობის ოლქებისა და რესპუბლიკების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ სელის ნათესი ფართობების მნიშვნელოვან გადიდებას, გააიდიონ მესელეობის საქონლიანობა სულ ცოტა ერთიორად—ერთისამად, მკვეთრად გაუმჯობესონ სელის ბოჭკოს და ჩალის საშუალო ნომერი.

წლითიწლობით მეტ ნედლეულს იღებს ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა. ტყავის ნედლეულის რესურსები შეიძლებოდა მნიშვნელოვნად გაგვეიდიდებინა, უკეთ რომ იყოს გაჩაღებული ბრძოლა სოფლის მეურნეობასა და დამამზადებელ ორგანიზაციებში დანაკარგების წინააღმდეგ.

მთელი რიგი წლების მანძილზე დაბალხარისხოვანი ტყავის ნედლეული საერთო დამზადებაში ძალიან დიდ ხვედრით წონას შეადგენს; 25 პროცენტზე მეტი ტყავის ნედლეული მრეწველობაში მიდის დეფექტიანი იმის გამო, რომ ცხოველს არასწორად ხდიან ტყავს, 20 პროცენტი დაზიანებულია ჩრჩილით და ტყავმჭამელათი. შენახვის არადამაკმაყოფილებელი პირობების გამო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ტყავების მნიშვნელოვანი რაოდენობა ბუზანკალით და ტკიპით არის დაზიანებული. ეს ამცირებს მაღალხარისხოვანი ტყავების მიღების შესაძლებლობას და დიდ ზარალს აყენებს კოლმეურნეობებსა და სახელმწიფოს.

კარგად არ არის დაყენებული აგრეთვე შინ დაკლულ ცხოველთა ტყავების დაკონსერვების საქმე, სადაც უპირატესად იყენებენ დაკონსერვების ეგრეთწოდებულ მტკნარ-მშრალ ხერხს. ტყავის ნედლეული, რომელსაც სველად დამარილების ხერხით აკონსერვებენ, უზრუნველყოფს ტყავების კარგ ხარისხს. ამიტომ ფართოდ უნდა ვურჩიოთ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ხელი აიღონ დაკონსერვების მტკნარ-მშრალ ხერხზე და უზრუნველყონ ტყავების დაკონსერვება მარტო მარილით.

საჭიროა უახლოეს ხანში ყველგან შემოვიღოთ, რომ პირუტყვი იკვლებოდეს საკლავ პუნქტებში, რაც უზრუნველყოფს ტყავის ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებას, მკვეთრად გაუმჯობესებს ტყავის ნედლეულის დაკონსერვების, შენახვის საქმეს და აღმოფხვრის ამჟამად არსებულ დიდ დანაკარგს.

მსუბუქი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის საკითხები უნდა განვიხილოთ ნაწარმის ასორტიმენტით გამოშვების გეგმასთან მჭიდროდ დაკავშირებით. ასეთ მუშაობას საფუძველი ჩაეყარა მებამბეობაში, სადაც ყოველწლიურად ბამბის ნათესის ჯიშთა დარაიონების გეგმა არსებითად მრეწველობის დაკვეთაა სოციალისტური სოფლის მეურნეობისადმი. ასეთივე პრაქტიკა უნდა გავრცელდეს მსუბუქი მრეწველობისათვის სელის ბოჭკოს, ტყავისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიწოდებაზე.

ამხ. საბუროვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულია კონკრეტული პროგრამა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებისა 1951-1955 წლებში.

ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტით გათვალისწინებულ დავალებათა მიხედვით მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის საშუალო წლიური მატება უნდა შეადგენდეს დაახლოებით 11 პროცენტს. გამოშვებული იქნება ბამბეულის ქსოვილები 61 პროცენტით, სელის ქსოვილები — 76 პროცენტით, შალის ქსოვილები — 54 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმელი — 55 პროცენტით, ტრიკოტაჟის ნაკეთობა — 90 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს.

მსუბუქი მრეწველობის წინაშე ახალ ხუთწლედში დასახული ამოცანები მკაფიოდ ასახავენ სტალინურ ზრუნვას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

შალეულის მრეწველობის ნედლეულის ბაზა, რომელიც თანდათან ფართოვდება, მიმდინარე ხუთწლედში საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავადიდოთ საკოსტიუმე და საპალტო, ქალის საკაბე ქსოვილების გამოშვება. დიდდება ჟაკარდული მოხატულობის ქსოვილების გამოშვება.

ფართოვდება კაპრონის ბოჭკოიანი, განსაკუთრებით მაგარი შალის ქსოვილების წარმოება.

სწრაფად დიდდება ფართო ასორტიმენტის აბრეშუმის ქსოვილების წარმოება. 1952 წელს აბრეშუმის ქსოვილები გამოშვებულ იქნება ერთისამად და უფრო მეტი, ვიდრე 1940 წელს, ხოლო 1953 წელს ასეთი ქსოვილები გამოშვებულ იქნება ერთიხუთად და უფრო მეტი. დიდდება ჭრელი და ხავერდის ქსოვილების გამოშვება.

ამხანაგ სტალინის მითითებით შემქმნილი სახალხო მეურნეობის ახალი დარგი — ხელოვნური ბოჭკოს მრეწველობა ამ ხუთწლედში წარმოებას გაადიდებს 4,7-ჯერ 1950 წელთან შედარებით და თითქმის 11-ჯერ 1940 წელთან შედარებით.

მეხუთე ხუთწლედში საფუძველი ჩაეყრება სხვა ახალ სახეობათა სინთეზური ბოჭკოების წარმოების განვითარებას, რომლებსაც უფრო მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები აქვთ.

ახალ ხუთწლედში ხორციელდება ბამბეულის, აბრეშუმის ქსოვილების, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ტყავის, ფეხსაცმლის დიდძალი საწარმოებისა და ხელოვნური ბოჭკოს ქარხნების მშენებლობა. კაპიტალდაბანდებათა მოცულობა თითქმის ორნახევარჯერ დიდდება წინა ხუთწლედთან შედარებით. მარტო ზელიმიტური მშენებლობის გეგმით აშენდება და რეკონსტრუირებულ იქნება 750-მდე საწარმო.

ამხანაგ სტალინის მითითებით ამ ხუთწლედში იქმნება ახალი დიდი საფეიქრო ცენტრები კამიშინში, ენგელსში, ბარნაულში, კრასნოდარში, ხერსონსა და სტალინაბადში. ამის შედეგად სერიოზული ძვრები მოხდება საფეიქრო მრეწველობის განლაგებაში. ბამბის ქსოვილების წარმოება კიდევ უფრო მიუახლოვდება ნედლეულის წყაროებს და მზა პროდუქციის მოხმარების რაიონებს. თავისი სიმძლავრით ამ კომბინატების მეტი წილი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს მსოფლიოში არსებულ ყოველ საფეიქრო საწარმოს. კამიშინის ბამბეულის კომბინატი დღეღამეში ერთ მილიონამდე მეტრ მაღალხარისხოვან ქსოვილს გამოიმუშავებს. ახალი საწარმოები ტექნიკური აღჭურვილობით, დაპროექტებული ასორტიმენტით ყველაზე მოწინავე იქნება. ისინი მასობრივად გამოუშვებენ ყველაზე ძვირფასი ასორტიმენტის სხვადასხვა ქსოვილებს.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკები უდიდესი აღფრთოვანებით შრომობენ ჩვენს ქვეყანაში მოხმარების საგნების სიუხვის შექმნის სტალინური გეგმის განსახორციელებლად და პირნათლად შეასრულებენ ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანებს.

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული დიდი გამარჯვებანი დამაჯერებლად ცხადყოფენ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

საბჭოთა სახელმწიფო სამშვიდობო პოლიტიკას ახორციელებს და განაგრძობს სახალხო მეურნეობის განუხრელ აღმავლობას, განუწყვეტლივ აუმჯობესებს მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობას. ლენინ — სტალინის პარტიის გარშემო დარაზმული საბჭოთა კავშირის ხალხები კიდევ უფრო დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით იბრძოლებენ მშვიდობისათვის, იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე განხორციელდეს კომუნიზმის აშენების გრანდიოზული პროგრამა, რომელიც სტალინმა დასახა.

გაუმარჯოს ლენინ—სტალინის პარტიას—საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

გაუმარჯოს გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს ძვირფას და საყვარელ ამხანაგ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხ. მ. ა. სუსლოვის სიტყვა

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის მიერ XVIII ყრილობიდან XIX ყრილობამდე განვლილი გზა აღსავსე იყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით, როცა წყდებოდა საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს ბედი.

ლენინ—სტალინის პარტიამ ძლევამოსილად განვლო ეს გზა, ახალი, ოქროს ფურცლები ჩაწერა თავისი ისტორიის, საბჭოების ქვეყნის ისტორიისა და კაცობრიობის მთელი ისტორიის მატიანეში თავისი პოლიტიკის სისწორის მეოხებით, იმის მეოხებით, რომ ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი შეუდრეკელი ნებისყოფითა და უდიდესი სიბრძნით მიჰყავს წინ ლენინური გზით კაცობრიობის გენიოსს, საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს. **(ხანგრძლივი ტაში).**

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობა და ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გადაგვიშლიან კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლის დიდებულ პერსპექტივებს და მთელი მსოფლიოს წინაშე კვლავ ცხადყოფენ საბჭოთა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების დაუშრეტელ ძალასა და ძლიერებას, მის უდავო უპირატესობებს კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების წინაშე.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას და ახალი ეტაპი იქნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს სოციალისტური კულტურის განვითარების დარგში, რასაც მსურს მივუძღვნა ჩემი გამოსვლა.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გვასწავლიან, რომ კომუნიზმის სრული გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს ყველა საბჭოთა ადამიანის კულტურული დონისა და პოლიტიკური შეგნებულობის მძლავრი აღმავლობა, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა. ჯერ კიდევ 1906 წელს თავის ცნობილ ნაშრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ მომავალი საზოგადოება „გულისხმობს საკმაოდ განვითარებულ საწარმოო ძალებს და ადამიანების სოციალისტურ შეგნებას“.

ახალ კლასიკურ ნაშრომებში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ყოველმხრივი და უღრმესი ანალიზი პოლიტიკური ეკონომიის უდიდესი პრობლემებისა, და პირველ რიგში იმ პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა საზოგადოების თანდათანობით გადასვლასთან სოციალიზმიდან კომუნიზმში. ამხანაგმა სტალინმა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების კაშკაშა შუქით გაგვინათა კომუნიზმის აშენების გზები და მეთოდები და ამით გიგანტური დახმარება გაუწია ჩვენს პარტიას, კომუნისტური საზოგადოების ყველა მშენებელს, მთელ საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. **(ტაში).**

როგორც ამ შრომაში ჩვენმა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, კომუნიზმში გადასვლის მომზადების ერთ-ერთი წინასწარი აუცილებელი პირობაა ის, რომ „მივაღწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს მისი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ იმისათვის საკმარისი განათლება, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისუფლად აირჩიონ პროფესია და მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული არ იყვნენ, შრომის არსებული განაწილების გამო, ერთ რომელიმე პროფესიაზე“.

სწორედ ამიტომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგი სტალინი ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას, მტკიცედ იბრძვიან საბჭოთა ხალხის კომუნისტური აღზრდის საქმის ყოველმხრივი ამაღლებისათვის.

კომუნისტური აღზრდის მიზანია ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, პირველ რიგში ახალგაზრდობა, გახადოს უაღრესად კულტურული და განათლებული, მხნე და მტკიცე, რომელსაც არ ეშინია სიძნელეებისა და დაბრკოლებებისა, აღზარდოს ისინი შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კომუნიზმის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. მშრომელთა კომუნისტური აღზრდა შეადგენს უმნიშვნელოვანეს საშუალებას შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, საზოგადოებრივი საკუთრების განმტკიცებისა და განვითარებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი ზრდისათვის ბრძოლაში.

კომუნიზმის მშენებლობა ჩვენში შეუფერხებელი „უკონფლიქტო“ წინსვლის ფორმით, სიძნელეების გადალახვად და უბრძოლველად როდი წარმოებს. უაღრესად საცდარია და მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხოა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შორის რამდენადმე გავრცელებული ეგრეთწოდებული თეორია „უკონფლიქტობისა“, რამაც ზიანი მიაყენა ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას, რაც აშორებდა მათ აქტიურ ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთებისა და გავლენის წინააღმდეგ, ყოველივე ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ, ბრძოლას ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის საბჭოთა ადამიანებს კომუნიზმისაკენ წინსვლაში.

უწინარეს ყოვლისა, არ შეიძლება დავივიწყოთ კაპიტალისტური გარემოცვა, რომელსაც ამჟამად სათავეში უდგანან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ყველაზე რეაქციული იმპერიალისტური წრეები, რომლებიც ეწევიან ახალი მსოფლიო ომის მზადებას—მათ შორის იდეოლოგიურ მზადებას—იყენებენ ბურჟუაზიული კულტურისა და იდეოლოგიის ყველა საშუალებას თავიანთ ქვეყნებში ფართო მასების გასაბრუებლად და ჩვენი საზოგადოების ცალკეული, ნაკლებად მტკიცე ელემენტების შეგნების მოსაწამლავად ყველაზე საზიზღარი და მზაკვრული სიცრუისა და ცილისწამების შუამით.

ჩვენი საზოგადოების წინსვლა ხდება არა დაუბრკოლებლად, არამედ ახლის ბრძოლაში წარსულის ჯერ კიდევ მრავალრიცხოვან და გამძლე ნაშთებთან, ძველ მავნე, ზოგჯერ საზიზღარ ჩვეულებთან, რომლებიც მემკვიდრეობით არის მიღებული ბურჟუაზიული წყობილებისაგან. ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „ჩვენში ყოველთვის რაიმე კვდება ცხოვრებაში. მაგრამ იმას, რაც კვდება, არ სურს მოკვდეს უბრალოდ, არამედ ის იბრძვის თავისი არსებობისათვის, იცავს თავის დრომოჭმულ საქმეს.

ჩვენში ყოველთვის იბადება ახალი რამ ცხოვრებაში, მაგრამ ის, რაც იბადება, იბადება არა უბრალოდ, არამედ ჭყივის, კივის, იცავს თავის არსებობის უფლებას.

ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომაკვდავსა და ახლადწარმოშობილს შორის — აი ჩვენი განვითარების საფუძველი“.

სწორედ ამიტომ პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობა, მისი საქმიანობა მასების კომუნისტური აღზრდისათვის, ჩვენი ადამიანების, როგორც კომუნისტური საზოგადოების წევრების ახალ მაღალ მორალურ და სულიერ თვისებათა ჩამოყალიბებისათვის, არ შეიძლება განყენებული, მხოლოდ საგანმანათლებლო იყოს. იგი კვლავაც თავისი მახვილით მიმართული უნდა იყოს ულმობელი ბრძოლისაკენ რეაქციული, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ჩვენს მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში მისი შემოღწევის წინააღმდეგ, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისა და აღმოფხვრისაკენ, ყოველგვარი იდეოლოგიური დამახინჯებებისადმი ბოლშევიკური შეურიგებლობის გაძლიერებისაკენ.

სოციალისტური კულტურის მშენებლობა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდა შეტევაა რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ზარმაცთა და საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ, ბიუროკრატთა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მონურად იხრიან ქედს ბურჟუაზიული რეაქციული კულტურის და ცხოვრების კაპიტალისტური წესის წინაშე, ნაციონალისტურ და კოსმოპოლიტურ დამახინჯებათა წინააღმდეგ, რომლებიც მტრულია საბჭოთა იდეოლოგიისა და ხალხთა შორის მეგობრობისადმი, ლიტერატურაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში აპოლიტიკურობისა და უიდეობის წინააღმდეგ.

სოციალისტური კულტურის მშენებლობისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი ბერკეტია სახალხო განათლება.

პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განუწყვეტლივ ზრუნავენ ხალხის ფართო მასების განათლებისათვის, იმისათვის, რომ ისინი დაეუფლონ კულტურის ყველა მიღწევას. ამ დიდ საქმეში ძიღწეულია ისტორიული მნიშვნელობის წარმატებანი. უკვე პარტიის XVIII ყრილობის დროისათვის ჩვენმა ქვეყანამ ნამდვილი კულტურული რევოლუცია მოახდინა. ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე წამოაყენა ახალი ისტორიული ამოცანა — ყველა მუშა და ყველა გლეხი კულტურული და განათლებული გავხადოთ.

ეს ამოცანა წარმატებით და განუხრელად სრულდება. შემოღებულია და ხორციელდება საყოველთაო შვიდწლიანი განათლება, მნიშვნელოვნად გაფართოებულია ზოგადი და სპეციალური საშუალო განათლება. უდიდესი წარმატებებია მიღწეული უმაღლესი განათლების გაფართოებისა და გაუმჯობესების საქმეში. უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობამ 1952 წელს 1.400 ათას კაცს მიაღწია, რაც 73 პროცენტით მეტია, ვიდრე ომამდელ დროს იყო.

არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში არ არის და არც შეიძლება იყოს სახალხო განათლების ასეთი გაქანება. გაბატონებულ კლასებს მშრომელთა სიბნელე და უმეცრება სჭირდებათ იმისათვის, რომ მორჩილებაში იყოლიონ ისინი და მაქსიმალური მოგება მიიღონ ულმობელი ექსპლოატაციის გზით. ღრმა კრიზისს განიცდის სახალხო განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ქვეყანაში 10 მილიონზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია; სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაახლოებით მესამედი ვერ სწავლობს, რაც შეეხება საშუალო და განსაკუთრებით უმაღლეს განათლებას, იგი მმართველი კლასების მონოპოლიას წარმოადგენს და მშრომელთა შვილებისათვის მიუწვდომელია.

თუ საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად უდიდეს თანხებს ახმარს სახალხო განათლების განვითარებას, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სახალხო განათლების კატასტროფული მდგომარეობის პირობებში ამ მიზნისათვის ბიუჯეტის სახსრების ერთ პროცენტზე ნაკლებს ხარჯავს. ამავე დროს ახალი ომის მზადებასთან დაკავშირებული სამხედრო ხარჯებისათვის ნიმდინარე წელს იქ ასიგნებულია ბიუჯეტის სახსრების 74 პროცენტი. ერთი პროცენტი სახალხო განათლებისათვის და 74 პროცენტი სამხედრო ხარჯებისათვის! ეს ციფრები დამაჯერებელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ საოცკენ არის მიმართული ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ანტიხალხური პოლიტიკა.

ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების განვითარებაში მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა საზოგადოებისათვის საარსებოდ საჭიროა მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლება, პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ უდიდესი მნიშვნელობის ახალ ამოცანებს გვისახავენ სახალხო განათლების დარგში.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი ითვალისწინებს „ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდეს შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე (ათწლედი) გადასვლა რესპუბლიკების დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, სამხარეო და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში. მომზადდეს პირობები შემდგომ ხუთწლედში საყოველთაო საშუალო განათლების (ათწლედი) სრული განხორციელებისათვის დანარჩენ ქალაქებსა და სოფელ აგდილებში“.

ამრიგად, ისახება ამოცანა ამ ხუთწლედსა და შემდგომ ხუთწლედში გადავიდეთ საერთოსავალდებულო ათწლიან განათლებაზე.

ძნელია გადაჭარბებით შეეფასოთ მნიშვნელობა, გრანდიოზულობა ამ ამოცანისა, რომლის განხორციელება მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოს შეუძლია. ასეთი ამოცანის თვით დაყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც ბატონ-პატრონია ხალხი, სადაც ზრუნავ ხალხისათვის, მისი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის უცილობელი კანონია. ჩვენი ქვეყნის მთელი ახალგაზრდა თაობისათვის საშუალო განათლების მიღების უზრუნველყოფა ნიშნავს უმნიშვნელოვანეს ეტაპს ამხანაგ სტალინის მიერ დასახული იმ ისტორიული ამოცანის გადაჭრაში, რომ ყველა მშრომელი კულტურული და განათლებული გავხადოთ. ეს აგრეთვე ნიშნავს დიდ ნაბიჯს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის მიმართულებით.

საერთოსავალდებულო ათწლიანი განათლების განხორციელება უდიდეს გავლენას მოახდენს სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარებაზეც, რამდენადაც მუშათა კლასის რიგები

(დასასრული მე-4 გვერდზე)

პარტიის XIX ყრილობა

ამხ. მ. ა. სუსლოვის სიტყვის დასასრული

შეიცვლება სულ უფრო კულტურული და განათლებული ადამიანებით, რომლებსაც შეეძლებათ სწრაფად და ყველაზე დიდი ეფექტით გამოიყენონ და წინ წასწიონ უახლესი ტექნიკა.

ახალ ხუთწლედში ამხანაგ სტალინის ინიციატივით დასახულია მეორე დიდი ამოცანაც სახალხო განათლების დარგში. ეს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შევუდგეთ პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებას საშუალო სკოლაში და განვახორციელოთ საყოველთაო პოლიტექნიკურ განათლებაზე გადასვლისათვის საჭირო ღონისძიებანი.

ახალ ხუთწლედში შემდგომ ვითარდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება. წარმოებისაგან მოწყვეტლად მშრომელთა სწავლებისათვის ფართოვდება დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, აგრეთვე საერთოსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი.

სახალხო განათლების დარგში მეხუთე ხუთწლედის უდიდესი ამოცანების შესრულება მოითხოვს განათლების სამინისტროს, უმაღლესი განათლების სამინისტროს მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დიდ მუშაობას ახალი სასკოლო შენობების აშენებლობის, მასწავლებელთა კადრების მომზადებისა და გადამზადების, მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესების დარგში, აგრეთვე პოლიტექნიკური განათლების შემოღებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ყოველმხრივი მომზადებისა და განხორციელების დარგში.

სახალხო განათლების განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც მეხუთე ხუთწლიანი გეგმით იწყება, გამოიწვევს ხალხის მასების კულტურული დონის შემდგომ უდიდეს ამაღლებას და მტკიცე საფუძველი იქნება მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების კიდევ უფრო მძლავრი აყვავებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

ამხანაგებო! კულტურული მშენებლობისა და საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის დარგში ჩვენი პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში, ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესრულებისათვის საბჭოთა ადამიანების დარაზმვასა და მობილიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს ბეჭდვითს სიტყვას — გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს.

საბჭოთა ხალხს უყვარს თავისი ბეჭდვითი სიტყვა, რომელზეც ხალხში უდიდესი მოთხოვნილებაა. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა გაიზარდა მძლავრ ძალად, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს კომუნიზმის მშენებლობას. ჩვენი ქვეყნის ხალხთა ათობით ენაზე უდიდესი ტირაჟებით გამოდის წიგნები და ჟურნალები. რაც შეეხება გაზეთებს, მარტო „პრავდა“ ამჟამად გამოდის ისეთი ტირაჟით, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ყველა იმ გაზეთის ტირაჟს, რომლებიც 1913 წელს რუსეთში გამოდიოდა.

მეხუთე ხუთწლედში დასახულია ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის დიდი ზრდა. ეს უდიდეს მოთხოვნებს უყენებს საგამომცემლო ორგანიზაციებს. აგრეთვე პოლიგრაფიულ და ქაღალდის მრეწველობას.

გამომცემლობათა მუშაკები მოვალენი არიან მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ საგამომცემლო საქმე, გაზარდონ პასუხისმგებლობა წიგნების იდეური შინაარსისა და პოლიგრაფიული შესრულებისათვის, აღკვეთონ იდეურად მახინჯი და ხალტურული წიგნების გამოცემის შესაძლებლობა, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იშვიათი მოვლენა როდია.

ზომები მიღებულ უნდა იქნას აგრეთვე იმისათვის, რომ აუცილებლად უზრუნველყოთ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის პოლიგრაფიული ბაზის გაფართოება, მისი აღჭურვა დიდი წარმადობის თანამედროვე მოწყობილობით და ქაღალდის მხრივ გამომცემლობათა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რაც გეგმით არის გათვალისწინებული.

პარტიის წინაშე მდგომი პასუხსაგები ამოცანები ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან მტკიცედ მოითხოვს აამაღლოს თავისი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დონე და აღმოფხვრას ამ საქმეში არსებული ჯერ კიდევ დიდი ნაკლოვანებები, რომლებიც ამომწურავად არის გამოაშკარავებული ამხ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენებაში.

პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ყურადღების ცენტრში დაყენებულ უნდა იქნას პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ი. ბ. სტალინის შესანიშნავი ნაწარმოები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, მშრომელთა მობილიზაცია ახალი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებისა და პარტიის წინაშე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მდგომი ყველა ამოცანის წარმატებით გადაჭრის მთავარი პირობაა პარტიული პროპაგანდის საქმის გაუმჯობესება.

მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის დიადი მოძღვრება კომუნისტური პარტიის მთელი პოლიტიკის მეცნიერული საფუძველია, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საფუძველია. იგი გვიშუქებს გზას კომუნიზმისაკენ. საზოგადოების განვითარების კანონების ცხადყოფით მარქსიზმ-ლენინიზმი პარტიას, მუშათა კლასს, მშრომელებს ეხმარება შეცნობილი კანონზომიერებანი შეგნებულად და უნარიანად გამოიყენონ იმისათვის, რომ მათზე დაყრდნობით ააშენონ კომუნიზმი უმოკლეს ვადებში და უმცირესი სიძნელეებით.

პარტიამ ხელსაყრელი პირობები შექმნა იმისათვის, რომ ჩვენი კადრები წარმატებით ეუფლებოდნენ რევოლუციურ თეორიას. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები სსრ კავშირის ხალხთა ენებზე პარტიის XVIII ყრილობიდან განვლილ პერიოდში გამოცემულია 511 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით. ამჟამად დამთავრებულია ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე, ყველაზე სრული და გულდასმით მომზადებული გამოცემა, გამოცემულია ი. ბ. სტალინის თხზულებათა 13 ტომი, რომლებიც შემოქმედებითი მარქსისტულ-ლენინური აზრის უშრეტ საგანძურს წარმოადგენენ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეათა პროპაგანდის ერთგვარი გაფართოება, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმე ჩვენში ჯერ კიდევ ვერ არის დამაკმაყოფილებლად მოწყობილი.

სამართლიანად აკრიტიკებდა რა პარტიული პროპაგანდის ორგანიზაციის ნაკლოვანებებს, ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ ერთ-ერთი მთავარი ნაკლია ის, რომ არ არის სასწავლო სახელმძღვანელო, რომელიც კომუნისტებს მისცემდა ცოდნის საჭირო მინიმუმს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დარგში. ამხანაგ სტალინის წინადადებაა შეიქმნას მარქსიზმ-ლენინიზმის ელემენტარული კურსი პარტიის წევრებისა და კანდიდატებისათვის. ასეთი კურსის შექმნა სერიოზულ დახმარებას გაუწევს ჩვენს კადრებს.

პარტიული განათლება და მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში კომუნისტების მიერ ცოდნის საჭირო მინიმუმის შეთვისებისადმი კონტროლი ყველა პარტიული ორგანიზაციის პირველხარისხოვანი ამოცანაა. ფაქტები კი გვიჩვენებენ, რომ თითქმის სრულებით არ ეწევა საჭირო კონტროლი კომუნისტების პოლიტიკურ სწავლებას. ეს არის პარტიული პროპაგანდის ორგანიზაციის მეორე დიდი ნაკლი, რომელიც აგრეთვე აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა. უკონტროლობის შედეგად ბევრი კომუნისტი, რომელიც თითქოს დამოუკიდებლად სწავლობს თეორიას, ნამდვილად, როგორც ფაქტები გვიჩვენებს, არავითარ მუშაობას არ ეწევა თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

ამოცანა ის არის, რომ აღმოვფხვრათ არაორგანიზებულობა, თვითდინება და უკონტროლობა პარტიული პროპაგანდის საქმეში, გავაძლიეროთ პარტიული ორგანიზაციებისა და თვით კომუნისტების პასუხისმგებლობა პოლიტიკური სწავლებისათვის, პარტიული განათლების მთელ სისტემაში შემოვიღოთ სისტემატური კონტროლი იმისადმი, თუ როგორ ითვისებენ ცოდნის მინიმუმს მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში პარტიის წევრები და კანდიდატები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროპაგანდისტული მუშაობის იდეური შინაარსის გაუმჯობესებას, მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმატიკური, მედავითნური შესწავლის გადაჭრით აღმოფხვრას, მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას პარტიული განათლების ყველა რგოლში.

ამხანაგებო! პარტიის მთელ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობასა და კულტურულ მშენებლობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პირადად ამხანაგი სტალინი. ძნელია დავასახელოთ მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ისეთი დარგი, იდეოლოგიური ფრონტის ისეთი უბანი, სადაც არ იგრძნობოდეს ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის შთამაგონებელი და წარმმართველი როლი და მისი გენიალური იდეების კეთილმყოფელი გავლენა. **(ტაში).**

ეს იმის საწინდარია, რომ წარმატებით იქნება გადაჭრილი ახალი ამოცანები კულტურული მშენებლობის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების პროპაგანდის დარგში.

თავის XIX ყრილობაზე ჩვენი პარტია მოვიდა უმაგალითოდ ერთიანი, იდეურად და ორგანიზაციულად დარაზმული, მთელი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობით აღჭურვილი. ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად პარტია მტკიცე რწმენით წაიყვანს საბჭოთა ხალხს კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის, მეცნიერების კორიფეს, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით. **(ხანგრძლივი ტაში).**

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით აღმოსავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე განაგრძობდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

კიმხვის რაიონში მოწინააღმდეგის სამმა პოლკმა რამდენიმე გააფთრებული იერიში მოიტანა, მაგრამ დიდი ზარალი ნახა და უკუქცეულ იქნა.

16 ოქტომბერს ღამით ამერიკის „ბ-29“ ბომბდამშენებმა კვლავ ბარბაროსულად დაბომბეს მშვიდობიანი დასახლებული პუნქტები ფხენიანის მიდამოებში.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 7 თვითმფრინავი და დაზიანეს 3.

ამერიკელი აგრესორები განაგრძობენ მხეცობას სამხედრო ტყვეების მიმართ

პარიზი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის მიერ ტოკიოდან გამოგზავნილი ცნობიდან ჩანს, 14 ოქტომბერს კუნძულ კოჯედოზე სამხედრო ტყვეთა ბანაკში მცველებმა დაჭრეს 15 კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვე.

პოლიციის თავდასხმა გერმანიის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის შენობაზე ნიურნბერგში

ბერლინი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ გუშინ ნიურნბერგში პოლიციამ თავდასხმა მოახდინა გერმანიის კომუნისტური პარტიის ნიურნბერგის ორგანიზაციის შენობაზე და გაზეთ „ბაიერშეს ფოლკსხოს“ გამომცემლობაზე. გერმანიის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის ყველა შენობას, ნათქვამია ცნობაში, ორ საათს ჩხრეკდნენ და ძარცვავდნენ, ხოლო აქ ნაპოვნი წიგნები და ბროშურები კონფისკებულია.

მოსადიკის გამოსვლა რადიოთი

თეირანი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა რადიოთი მიმართა ხალხს. მოსადიკმა განაცხადა, რომ დღეს იგი აპირებდა მოხსენება გაეკეთებინა მეჯლისის ღია სხდომაზე, მაგრამ რადგან სხდომა არ გაიმართა კვორუმის გამოუცხადებლობის გამო, იგი უშუალოდ მიმართავს ხალხს და აცნობებს ნავთის საკითხში მთავრობის მოქმედებას.

მოსადიკმა განაცხადა, იმასთან დაკავშირებით, რომ ირანისადმი დიდი ბრიტანეთის დამოკიდებულება მტრულია, ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის განგრძობას აზრი არა აქვსო.

რეიჯერის საელჩოს ირანსა და ინგლისს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განყვეტის შესახებ

ლონდონი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება:

დღეს რადიოთი სიტყვა წარმოთქვა ირანის პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა, რომელმაც განაცხადა, რომ ირანსა და ინგლისს შორის შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს კომუნიკე

ვენა, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ვენაში გაიმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სხდომა, რომელიც მიეძღვნა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესისათვის მზადებას. სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია:

„მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდება ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწვევის შესახებ უდიდეს ინტერესს იწვევს ყველა ქვეყანაში და უკვე ჰქმნის ბევრ თაოსნობას.

ძალის პოლიტიკის გამოყენებამ ერთა შორის ურთიერთობაში შექმნა დაძაბულობა, რომლის შედეგები და საფრთხე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. ამ ვითარებაში სხვადასხვა საზოგადოებრივი წრეები, კერძოდ, პოლიტიკური, პროფკავშირული, რელიგიური და პაციფისტური ჯგუფები, ფიქრობენ, რომ უნდა გამოინახოს ჩიხიდან გამოსავალი.

როგორ უნდა შევწყვიტოთ ამჟამად წარმოებული ომები?

როგორ უნდა მოვუღოთ ბოლო „ცივ ომს“?

როგორ უზრუნველვყოთ ყველა ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობა და უშიშროება?

ამ კითხვებზე პასუხს მოგვცემს მხოლოდ იმათი დისკუსია, ვინც მართლაც გამოხატავს ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი.

ხალხთა კონგრესი, რომელსაც მშვიდობის მსოფლიო საბჭო იწვევს, სხვადასხვა ეროვნებისა და ცხოვრების სხვადასხვა წესის ადამიანთა საერთაშორისო შეხვედრა იქნება.

კონგრესში მონაწილეობა დელეგატების, სტუმრებისა და მეთვალყურეების სახით არ იქნება იმის მომასწავებელი, რომ ისინი აუცილებლად შეუერთდნენ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობას.

ხალხთა კონგრესი თავისუფალ დისკუსიაში შეეცდება იმას, რომ გამონახოს იმ საკითხთა გონივრული გადაწყვეტა, რომლებიც ჰყოფს მსოფლიოს.

შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქნება თუნდაც ერთ საკითხში, გააადვილებს სხვა საკითხთა გადაწყვეტას და ხელს შეუწყობს საერთაშორისო ატმოსფეროს დაძაბულობის შენელებას.

ხალხები ერთად იპოვნიან მშვიდობის გზას“.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მოწოდება ხალხისადმი

პარიზი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მოწოდება ხალხისადმი. მოწოდებაში მხილებულია მთავრობის ახალი რეპრესიების კამპანია საფრანგეთის დემოკრატიული ორგანიზაციების, აგრეთვე მშვიდობის და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლების წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტია მოუწოდებს ფრანგ ხალხს იბრძოლოს ფრანგი პატრიოტების განთავისუფლებისათვის, მთავრობის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ წაართვას კომუნისტ დეპუტატებს საპარლამენტო ხელშეუხებლობა, მშრომელთა უფლებებზე შემდგომი შეტევის მიზნით რეაქციის ანტიხალხური შეთქმულების და პარლამენტის მიერ ბონისა და პარიზის სამხედრო შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რევანშისტული არმიის აღორძინებას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მოუწოდებს ყველა მშრომელს, მათ შორის სოციალისტებსა და კათოლიკეებს, მოსახლეობის ყველა ფენას „ჩაშალონ ამერიკული ნიმუშის მიხედვით მომზადებული ახალი შეთქმულება, და უზრუნველყონ სოციალური პროგრამის, თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის გამარჯვება“.

გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის საერთაშორისო კონფერენციის საინიციატივო კომიტეტის კომუნიკე

პარიზი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის საერთაშორისო კონფერენციის მომწვეელი საინიციატივო კომიტეტის კომუნიკე. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ შვეიცის მთავრობამ უარი უთხრა ავსტრიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დელეგატებს სტოკჰოლმში შესასვლელი ვიზების მიცემაზე, სადაც 18 ოქტომბერს განზრახული იყო საერთაშორისო კონფერენციის გახსნა.

საინიციატივო კომიტეტი იუწყება, რომ მან გადაწყვიტა შეცვალოს კონფერენციის მოწვევის ვადა, მაგრამ კვლავ განზრახული აქვს მოიწვიოს იგი უახლოეს დროში.

ფინეთის მთავრობის გადადგომა

ჰელსინკი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ფინეთის დეპეშათა ბიურო იუწყება, რომ პრემიერ-მინისტრმა კეკონენმა დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტს გადასცა თავისი პირადი თხოვნა და მთავრობის თხოვნა იმის შესახებ, რომ ისინი გაათავისუფლოს მათი მოვალეობის შესრულებისაგან.

მანამდე პრემიერ-მინისტრს შუამდგომლობა გადადგომის შესახებ წარუდგინეს სოციალ-დემოკრატმა ლიდერებმა სკუგმა, ოიტინენმა, ლეპისტემ, პელტონენმა, ხუონონენმა და რანტალამ.

კეკონენის განცხადების გამო ფინეთის მთავრობის გადადგომის შესახებ

ჰელსინკი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, პრემიერ-მინისტრმა კეკონენმა დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტს გადასცა განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ.

კეკონენის მთავრობის გადადგომის მიზეზად ასახელებენ სერიოზულ უთანხმოებას ერთი მხრივ სოციალ-დემოკრატ მინისტრებსა და მეორე მხრივ აგრარული კავშირის წარმომადგენელ მინისტრებს შორის.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარტიული საბჭოს ამასწინანდელ სხდომაზე პარტიულმა საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო, კერძოდ, ბინის ქირის გადიდების საკითხზე. ეს საკითხი პარტიულმა საბჭომ დაუკავშირა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების სტაბილიზაციის საკითხს, რაც ეწინააღმდეგება აგრარიების ინტერესებსა და ვეგეტს. გაზეთი „ჰელსინგინ სანომატი“ ამის გამო წერდა, რომ ამ ორი საკითხის ერთმანეთთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატებმა „გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს აგრარული კავშირი“.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის გუშინდელმა სხდომამ აგრარული კავშირის ფრაქციას გაუგზავნა წერილი, რომელსაც ულტიმატუმის ხასიათი აქვს. ამ წერილში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქცია იმუქრება სოციალ-დემოკრატ მინისტრთა გადადგომას. უკეთუ აგრარული კავშირის ფრაქცია არ დათანხმდება მიიღოს სოციალ-დემოკრატების მოთხოვნა, რომ ბინის ქირის საკითხი გადაიჭრას იმავე დროს, როცა სეიმს განსახილველად გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების ანუ, როგორც აქ ამბობენ, სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის სტაბილიზაციის საკითხი.

კეკონენის (აგრარული კავშირი) გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინა ფინეთის იმ სოფლის მეურნეთა ცენტრალური კავშირის გადაწყვეტილებამ, რომელმაც უარყოფითი პოზიცია დაიკავეს სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის სტაბილიზაციის კანონპროექტის მიმართ.

მას შემდეგ, რაც სოფლის მეურნეთა ცენტრალურმა კავშირმა აგრარული კავშირის სეიმის ფრაქციას აცნობა თავისი პოზიცია სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის სტაბილიზაციის საკითხში, აგრარული კავშირის სეიმის ფრაქციამ გადაწყვიტა წინააღმდეგობა გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის სტაბილიზაციის კანონპროექტის წარდგენას სეიმის განსახილველად.

კომენტარი გაუკეთა რა აგრარიებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის კონფლიქტს, გაზეთი „ილტა სანომატი“ ამ დღეებში წერდა, რომ „სოციალ-დემოკრატები აპირებენ გამოვიდნენ მთავრობიდან იმ მიზეზებით, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ შინაპარტიული ან ეკონომიკურ-პოლიტიკური ხასიათი როდი უნდა ჰქონდეთ“. გაზეთი „ნიუ ტიდიც“ აგრეთვე ფიქრობს, რომ ახლანდელი კრიზისი გამოწვეულია იმით, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელები უკმაყოფილონი არიან მთავრობის საგარეო-პოლიტიკური კურსით.

ნ. დუმბაძის ახალი მსოფლიო რეკორდი

გუშინ, 18 ოქტომბერს თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა საქალაქო შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნინო დუმბაძემ. მან ბადრო ტუმრაცნა 57 მეტრსა და 4 სანტიმეტრზე და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ნ. დუმბაძის ეს შესანიშნავი წარმატება 3 მეტრით და 43 სანტიმეტრით აღემატება საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ნ. რომაშკოვას შედეგს.

თბილისის ოლქის ჩემპიონატი ფრენბურთში

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს ლიკანის სანატორიუმის სასპორტო მოედნებზე დამთავრდა შეჯიბრება ფრენბურთში თბილისის ოლქის პირველობისათვის. ეს შეჯიბრება წარმოადგენდა ოლქის პირველ ჩემპიონატს. მასში მონაწილეობა მიიღო ბორჯომის, ბოლნისის, ლაგოდეხის, ახალქალაქის, სიღნაღისა და სხვა რაიონების ქალთა და ვაჟთა 22 გუნდმა.

შეხვედრათა პირველი ეტაპი 4 უძლიერესი კოლექტივის გამოსავლენებლად მიმდინარეობდა შერეული სისტემით. ფინალურ ჯგუფში დასკვნითი ასპარეზობა მოიწყო წრიული სისტემით. ვაჟთა გუნდებს შორის ოლქის ჩემპიონი გახდა ბოლნისის რაიონის ფრენბურთელთა კოლექტივი, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. მეორე ადგილი დაიკავა ლაგოდეხის რაიონის გუნდმა, მესამე—ბორჯომის რაიონის გუნდმა. ქალთა გუნდებს შორის გაიმარჯვა ბორჯომის რაიონის ფრენბურთელთა კოლექტივმა.

სასამართლო

სახელმწიფო მილიონობით თანხებს ხარჯავს სოციალისტური სახალხო მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტთა კადრების მოსამზადებლად. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები, სტუდენტები გარემოცული არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი ყურადღებითა და მზრუნველობით.

ბრონის ნიკოლოზის-ძე სარუხანოვმა 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და დაეუფლა ექიმის საპატიო პროფესიას. მის წინაშე უნდა გადაშლილიყო საზოგადოებრივი მოღვაწეობის ახალი, საინტერესო გზა. მაგრამ რით უპასუხა სარუხანოვმა სამშობლოს დიდ ამაგს? — როდესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის განაწილებით იგი განწესებულ იქნა თურქმენეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განკარგულებაში, სარუხანოვმა უარი განაცხადა წასვლაზე, თავი აარიდა საპატიო დავალების შესრულებას.

უმადური, შრომის დეზერტირი, უღირსი ახალგაზრდა ექიმი წარსდგა სასამართლოს წინაშე. მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ ნ. მირიანაშვილის თავმჯდომარეობით გაარჩია ბ. ნ. სარუხანოვის საქმე. სასამართლომ ბ. ნ. სარუხანოვს მიუსაჯა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

საქართველოს რადიოგადაცემათა 20 ოქტომბრის პროგრამა

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25 — ქართული ხალხური სიმღერები; 07.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 09.20—სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 17.15 — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „რა არის მეგობრობა“; 18.15—ნაწყვეტები ვერდის ოპერებიდან; 19.20—პოპულარული მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურებით 1500 და 59.52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 20.30—რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. ქალაქის ქსელით — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი; 20.45—ქართველ კომპოზიტორთა რომანსები; 21.00 — ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის გ. ჩიჩუას საუბარი „დიდი რუსი ხალხი“; 21.20 — სიმპერო მუსიკის კონცერტი; 22.45 — ლიტერატურული გადაცემა—სერაფიმოვიჩის მოთხრობა „ორი სიკვდილის“ რადიოინსცენირება; 23.05—ქართული ხალხური სიმღერები.

ოპერისა და ბალეტის

19 ოქტომბერს	კრეინი—ლაურენსია
21 ოქტომბერს	ჩაიკოვსკი—პიკის ძალი

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ქეთო და კოტე (დილას), ლაურენსია (საღამოს, ვ. ჰაბუკიანის მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის**—სამშობლო (დილას), დიდი ხელმწიფე (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — ვარდი ასფურცლოვანი (დილას). ანტონიოს და კლეოპატრა (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ერთ ქალაქში (დილას), მშვენიერ სიცრუეთა დღე (საღამოს, აბონემენტი 39, 40); **სომხური დრამის** — ვაგიფი (დილას, აბონემენტი 3). ოტელო (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — ჩემი გაუზელი (დილას), მეგობრები (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—პატარა მეომრები (აბონემენტი 24, 12 ს.), ქორწინება (აბონემენტი 15, 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მისი მეგობრები (1Ე და 2 ს.); **სანტარული კულტურის** — მე შენ მოგნახავ (საღამოს).

მოქალაქე **ოლიმპიადა ათანასეს ასულმა სორინამ,** მცხოვრებმა ზასულიჩის ქ. № 46, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ლევან გრიგოლის-ძე სორინთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ალექსანდრე გაბრიელის-ძე გოზალოვმა,** მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 63, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ლიდა ავეტისის ასულ შაინიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიკის და იურიდიული ფაკულტეტების გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წლის 29 ოქტომბერს, დღის 1 საათზე, საქტო დარბაზში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. №1), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დოცენტი **გიორგი კონსტანტინეს-ძე ტივაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„სამცხე-საათაბაგო (სამხრეთი საქართველო) თურქ დამპყრობთა ბატონობის ქვეშ და რუსეთის როლი მისი განთავისუფლების საქმეში“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი, დოქტორი **ს. ყაუხჩიშვილი,** პროფესორი, დოქტორი **ალ. ფირცხალაშვილი,** პროფესორი, დოქტორი **ი. ცინცაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ხარეწაო კოოპერაციის სისტემის

არტელი „ახალმშენი“ ჰყიდის თავისი წარმოების საშენ მასალებს: ჯგეტს, კირსა და ბოჯს სახელმწიფო ორგახიზაციებზე — გადარიცხვის წესით — და ინდივიდუალურ მომხმარებლებზე. წერეთლის ქ. № 8, ტელეფონი № 3-30-40.

ბარეულ მანანა, შვილები ხვარამზე, ნინო, ქეთო, დები ზინა, თამარ, ნინო, სალომე ოჯახებით, სიძეები ი. ედიგარაშვილი, გ. ცომაია, ვ. ქარჩხაძე, შვილიშვილები ჯემალ, ნანა, ლია იუწყებიან **ზაქარია ხაბას-ძე** ბეჟანიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20-X, 8 ს. გამოსვენება 21-X, 5 ს. 8 მარტის ქ. № 12.

შვილები მარგარიტა, ირაკლი, რძალი ესმა, სიძე ვ. ქაშელავა, ძმა კონსტანტინე. შვილებით, ნუცა, გრიგოლ, ნიკოლოზ გაგუები ოჯახებით იუწყებიან **ლუბა დმიტრის ასულ ბრეგაძე-გაგუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 21, 22-X, 8 ს. გამოსვენება 23-X, 5 ს. ბორჯომის ქ. № 7-ა.

შვილები ვასილ, სამსონ, პლატონ, მიხეილ ბარამიძეები, დ. მექვაბიშვილი, თ. თაბუდაშვილი ოჯახებით, შვილიშვილები ე. მექვაბიშვილი, გ. ბარამიძე იუწყებიან **